

კანონპროექტებით გათვალისწინებული ცვლილებები
საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ
კანონმდებლობაში

შინაარსი

საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	3
საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	8
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე.....	12
საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“	15

საქართველოს კანონი
„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge), 31.01.1996, სარეგისტრაციო კოდი N 110.030.000.05.001.000.123 შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 9

1. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი საკონსტიტუციო სასამართლოში დებს ფიცს: „ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, კეთილსინდისიერად აღვასრულო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მოვალეობა და მისი აღსრულებისას დავემორჩილო მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, არავის და არაფერს სხვას, გარდა საქართველოს კონსტიტუციისა.“
2. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფიცი შეიძლება დადოს რელიგიური ნაწილის გარეშე.
3. ფიცის დადების ცერემონიაზე მოიწვევიან საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. რომელიმე მათგანის არყოფნა არ აყოვნებს ფიცის დადებას.
4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება იწყება მის მიერ ფიცის დადების დღიდან.“.

2. მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურას წარადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს სულ ცოტა 3 წევრი. საკონსტიტუციო სასამართლოს ერთმა წევრმა შეიძლება ხელი მოაწეროს ერთი კანდიდატურის წარდგენას.“.

3. მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და სამი კოლეგიისაგან.“.

4. მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კოლეგიის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრი. კოლეგიის სხდომებს უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილეები.“.

5. მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. კოლეგიის შემადგენლობა განისაზღვრება წილისყრით. წილისყრის ჩატარებას უზრუნველყოფს და კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს პლენუმი. საქართველოს

პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განმწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები კოლეგიებში ნაწილდებიან თანაბრად.“.

6. მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი პლენუმის მიერ კოლეგიაში განაწილება არჩევიდან ან დანიშნვიდან 10 დღის ვადაში, მისი ამრჩევი ან დამნიშნავი სუბიექტის მიერ განმწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს იმ წევრის ადგილზე, რომელსაც გაუვიდა ან ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წილისყრა იმართება, თუ ერთდროულად გასანაწილებელია ერთი სუბიექტის მიერ არჩეული ან დანიშნული საკონსტიტუციო სასამართლოს ერთზე მეტი წევრი.“.

7. მე-11 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თუ კოლეგიის მიერ საქმის განხილვაში ვერ მონაწილეობს მისი სამივე წევრი, პლენუმში უფლებამოსილია ამ საქმის განხილვისათვის კოლეგიას დროებით მიამაგროს სხვა კოლეგიის წევრი, გარდა კოლეგიის თავმჯდომარისა. მიმაგრებული წევრი არ ინიშნება მომხსენებელ მოსამართლედ.“.

8. მე-12 მუხლის პირველი პუნქტის დაემატოს “ვ” ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ვ¹) უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი კოლეგიის სხდომას;“.

9. მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთაგან, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ, ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით. საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს სულ ცოტა 3 წევრს და მისი არჩევისთვის საკმარისია კენჭისყრაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ 5 წევრის მხარდაჭერა.“.

10. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილებით, რომელიც მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. „ე“-„ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი რეგლამენტით დადგენილი წესით ამოწმებს მისთვის წარდგენილ საბუთებს და მათში აღნიშნული ფაქტების დადასტურების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე განკარგულებით აფორმებს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მიღებული ეს განკარგულება საბოლოოა და არ საჩივრდება.“

11. მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ და 2² მუხლები:პუნქტები:

„2¹. დისციპლინური გადაცდომის ხასიათის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიმართ, მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ნაცვლად, შესაძლოა გამოყენებული იყოს კერძო სარეკომენდაციო ბარათი თუ საკონსტიტუციო სასამართლოში დისციპლინური საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა

ერთობლიობით დადასტურდა აღნიშნული დისციპლინური გადაცდომის ბრალეული ჩადენა, მაგრამ დარღვევის მცირე მნიშვნელობის ან ბრალის უმნიშვნელო ხარისხის გამო საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი მიზანშეუწონლად თვლის მოსამართლისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.

22. კერძო სარეკომენდაციო ბარათი არის დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი მოსამართლისადმი წერილი, რომელშიც ამ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი უარყოფითად არის შეფასებული. კერძო სარეკომენდაციო ბარათში ასევე მოცემულია რეკომენდაცია დარღვევის აღმოფხვრის, მოსამართლის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეებისა და პრობლემების გადაჭრის გზებისა და საშუალებების შესახებ.“.

12. 23-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ე“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება, აგრეთვე იმავე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობის დადასტურება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში კონსტიტუციური სიკეთეების შედარებისა და შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალადაკარგულად ცნოს მისი ამოქმედების მომენტიდან ან სასამართლოს მიერ განსაზღვრული სხვა ვადიდან, თუ ეს აუცილებელია თავისუფალი, დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფისათვის, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა სრულყოფილი აღდგენისა და დაცვისათვის.“.

13. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობას მისი ამოქმედებიდან, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით, სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.“.

14. 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის, აგრეთვე საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული ნაწილების არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული ნაწილების საქართველოსათვის ბათილად ცნობას. კონსტიტუციური სარჩელისა ან წარდგინების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული ნაწილების არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირების დაუშვებლობას. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, ამ მუხლის პირველი მუხლით დადგენილი წესით, გადაავადოს გადაწყვეტილების აღსრულება შესაბამისი ხელშეკრულებიდან ან შეთანხმებიდან გამოსვლის პროცედურების განხორციელების მიზნით...“.

15. 25-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5¹ პუნქტი:

„5¹. კონსტიტუციური შედარებისა და შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია სადავო აქტი ან მისი ნაწილი საოქმო ჩანაწერით შეაჩეროს მხოლოდ მოსარჩელესთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, შესაბამის გარემოებათა შეცვლის შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით მიიღოს ახალი საოქმო ჩანაწერი აღნიშნულ საკითხზე. ამ პუნქტი გათვალისწინებული საოქმო ჩანაწერები ძალაშია მათი გამოქვეყნების მომენტიდან.“.

16. 26-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1² პუნქტი:

„1². თუ საქმის განმხილველი კოლეგია ან პლენუმი დაადგენს, რომ კონსტიტუციური სარჩელით ან წარდგინებით სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ სარჩელში ან წარდგინებაში მითითებულ კონსტიტუციის რომელიმე ნორმას, იგი უფლებამოსილია არ იმსჯელოს კონსტიტუციურ სარჩელში ან წარდგინებაში დასახელებულ კონსტიტუციის სხვა ნორმებთან მის შესაბამისობაზე.“.

17. 26-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2¹ პუნქტი:

„2¹. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას გამოიკვეთა, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის იმ ნორმას, რომელიც მითითებული არ არის კონსტიტუციურ სარჩელში ან წარდგინებაში, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ინტერესის გათვალისწინებით, სადავო აქტის კონსტიტუციურობა დაადგინოს ან ნორმასთან მიმართებით.“.

18. 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქმეში მოპასუხეა ის სახელმწიფო ორგანო, რომლის სამართლებრივმა აქტმა ან მოქმედებამ, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევა.“.

19. 39-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. სადავო ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება არ აბრკოლებს საკონსტიტუციო სასამართლოს შეაფასოს მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობა, თუ მოსარჩელეს ამის დასაბუთებული სამართლებრივი ინტერესი გააჩნია.“.

20. 41² მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს პარლამენტის შუამდგომლობის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ნორმატიული აქტის მოქმედება.“.

21. 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია უფლებამოსილია განიხილოს კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება კოლეგიის სამივე წევრი.“.

22. 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„2. კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის წევრთა უმრავლესობა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ქუთაისი

გიორგი მარგველაშვილი

საქართველოს კანონი
„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის
თაობაზე

მუხლი 1. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge), 21/03/1996, სარეგისტრაციო კოდი N 110.030.060.05.001.000.130 შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკონსტიტუციო სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით სახელმწიფო, პირადი, პროფესიული, კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება დაიხუროს. თუ საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველი საქმის სრულყოფილი გამოკვლევა მოითხოვს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნებას, საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია/პლენუმი უფლებამოსილია „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესების შესაბამისად სხდომას დაასწროს მხარეები და პროცესის მონაწილე სხვა პირები.“.

2. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹, 2², 2³, პუნქტები:

„2¹. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის ექსპერტი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დასადგენად სპეციალური ცოდნა აქვს.

2². ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის სპეციალისტი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც სამართლის კონკრეტულ დარგში აქვს ობიექტური მონაცემებით დადასტურებული აღიარებული კომპეტენცია.

2³. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის მოწმე შეიძლება იყოს პირი, რომელსაც, თავისი სამსახურებრივი მოვალეობებიდან ან სხვა გარემოებიდან გამომდინარე, აქვს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს საქმისათვის.“.

3. მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების რეგისტრაციის შემდეგ, სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, ასევე მოსარჩელის მიერ კონსტიტუციურ სარჩელზე უარის თქმისას, თუ საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად ან

დემოკრატიული და თავისუფალი კონსტიტუციურსამართლებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.“.

4. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეიცვალა ან ცნობილი გახდა არსებითი სამართლებრივი ან/და ფაქტობრივი გარემოებები, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია დაიწყოს კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების ხელახალი არსებითი განხილვა. გადაწყვეტილება კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების ხელახალი განხილვის შესახებ ფორმდება საოქმო ჩანაწერით.

5. მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას გამოიკვეთა, რომ სადავო აქტი ან მისი ნაწილი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის იმ ნორმას, რომელიც მითითებული არ არის კონსტიტუციურ სარჩელში ან წარდგინებაში, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ინტერესის გათვალისწინებით, სადავო აქტის კონსტიტუციურობა დაადგინოს ან ნორმასთან მიმართებით.“

6. მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6¹ პუნქტი:

„6¹. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციიდან 30 კალენდრული დღის ვადაში მოპასუხე წარადგენს წერილობით პოზიციას განმწესრიგებელ სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი განიხილოს და გადაწყვიტოს ამ ვადის ამოწურვამდე.“.

7. მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 და მე-9 პუნქტები:

„8. მოსარჩელე უფლებამოსილია კონსტიტუციურ სარჩელში ან სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვოს მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვა სასამართლოს მიერ მიღებულ აქტებში და საქმესთან დაკავშირებით გავრცელებულ სხვა სახის დოკუმენტებში.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შუამდგომლობას განიხილავს საქმის განმხილველი კოლეგია ან პლენუმი. შუამდგომლობა დაკმაყოფილდება, თუ მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვა აუცილებელია არასრულწლოვანის ინტერესების დასაცვად ან/და მოსარჩელის იდენტიფიცირების შემთხვევაში მისი უფლებების დარღვევის რეალური საფრთხე არსებობს.

8. მე-17 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. ამ კანონის მე-16 მუხლის 6¹ პუნქტით გათვალისწინებული მოპასუხის პოზიციის ასლი საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ჩაბარებიდან 2 დღის ვადაში ეგზავნება მოსარჩელეს.“.

9. მე-17 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 და მე-10 პუნქტები:

„9. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შემთხვევაში, მოპასუხე ვალდებულია შესაბამისი საოქმო ჩანაწერის გამოქვეყნებიდან 30 კალენდრული დღის ვადაში წარადგინოს წერილობითი პოზიცია სადავო ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის

კონსტიტუციურობის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განიხილოს და გადაწყვიტოს ამ ვადის ამოწურვამდე.

„10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული პოზიციის ასლი მოსარჩელეს ეგზავნება საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ჩაბარებიდან 2 დღის ვადაში.“.

10. მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით გამართვის შემთხვევაში, ის სულ მცირე 7 კალენდრული დღით ადრე ატყობინებს მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს განმწესრიგებელი სხდომის გამართვის თარიღს. ინფორმაცია განმწესრიგებელი სხდომის გამართვის თარიღის შესახებ ამავე ვადაში ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც განმწესრიგებელი სხდომის დაუყოვნებლივ გამართვა აუცილებელია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის ან თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციურსამართლებრივი წესრიგისათვის მყისიერი და რეალური საფრთხის ასაცილებლად.“.

11. 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. კოლეგია უფლებამოსილია საქმე არსებითად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სამივე წევრი.“.

12. 24-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„1. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან მხარეთა დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე. კონსტიტუციურ სარჩელს ან წარდგინებას მიანიჭოს პრიორიტეტი და განიხილოს დაჩქარებული წესით, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

- ა) სადავო ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის საფუძველზე მოსარჩელეს თავისუფლება აქვს აღკვეთილი;
- ბ) სადავო ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილი საფუძველზე ჩარევა ხდება მოსარჩელის ღირსების ან სიცოცხლის უფლებაში;
- გ) საკითხის დაჩქარებული წესით განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფუძემდებლური კონსტიტუციური პრინციპების დაცვისათვის.“.

13. 24-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

6. საკონსტიტუციო სასამართლო საქმის არსებითად განხილვამდე სულ ცოტა 7 კალენდრული დღით ადრე ატყობინებს მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს არსებითად განხილვის სხდომის გამართვის თარიღს. არსებითად განხილვის სხდომის გამართვის თარიღი ამავე ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე.“

14. 29-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოპასუხეს ეკისრება მოსარჩელისათვის მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურება.“.

15. 32-ე მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა“ ქვეპუნქტი:

„ა¹) კონსტიტუციური სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების დაკისრების თაობაზე;“.

16. 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რეგლამენტი დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ ღია კენჭისყრის დროს მას მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს სრული შემადგენლობის უმრავლესობამ.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ქუთაისი,
2018 წლის

გიორგი მარგველაშვილი

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილება
საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს სულ ცოტა 3 წევრს. საკონსტიტუციო სასამართლოს ერთმა წევრმა შეიძლება ხელი მოაწეროს მხოლოდ ერთი კანდიდატურის წარდგენას.“.

2. მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის უფლებამოსილების ვადის გასვლის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის (შემდგომში - პლენუმი) სხდომას, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს სულ ცოტა 3 წევრი წარადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის კანდიდატურას.“.

3. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი პლენუმის მიერ კოლეგიაში განაწილება არჩევიდან ან დანიშნვიდან 10 დღის ვადაში, მისი ამრჩევი ან დანიშნავი სუბიექტის მიერ განმწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს იმ წევრის ადგილზე, რომელსაც გაუვიდა ან ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება. თუ კოლეგიებს შორის ერთდროულად გასანაწილებელია ერთი სუბიექტის მიერ არჩეული ან დანიშნული საკონსტიტუციო სასამართლოს ერთზე მეტი წევრი, იმართება წილისყრა. კოლეგიის პერსონალურ შემადგენლობაში არ უნდა შედიოდეს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის ან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განწესებულ ერთ მოსამართლეზე მეტი“.

4. მე-11¹ მუხლის 1-ლი-მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნას.

5. მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონსტიტუციო სასამართლოს ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისია იქმნება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილებით ამ რეგლამენტის მე-17-22-ე მუხლებით გათვალისწინებული საკითხების წინასწარ შესასწავლად და შესაბამისი დასკვნის პლენუმისათვის წარსადგენად.“

6. მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაა 3 წელი. ერთი და იგივე მოსამართლე კომისიის წევრად არჩეულ არ შეიძლება იქნას ორზე მეტი ვადით. თუ

კომისიის განსახილველი საკითხი შეეხება კომისიის წევრს ან მოხდა კომისიის წევრის აცილება ან თვითგანრიდება კონკრეტული საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე დაუყოვნებლივ, საკითხის განხილვის დამთავრებამდე, ბრძანებით შეაჩერებს მის წევრობას კომისიაში და მას შესაბამისი საკითხის განხილვის ვადით ჩაანაცვლებს სხვა მოსამართლე, რომლის ვინაობაც დადგინდება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ ჩატარებული წილისყრის შედეგად ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.“

7. რეგლამენტის VII თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„თავი VII დისციპლინური წარმოება და მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა“.

8. მე-19 მუხლს დაემატოს 1¹ პუნქტი:

„1¹. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი უფლებამოსილია დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიმართ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მოთხოვნით.“.

9. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიმართვიდან 20 დღის ვადაში შეისწავლის საკითხს, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს სამედიცინო დასკვნისა და სხვა დამატებითი მასალის წარდგენას და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით იღებს შესაბამის დასკვნას ამ ვადის ფარგლებში.“.

10. მე-19 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹, 2², 2³ და 2⁴ პუნქტები:

„2¹. ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის მიერ დასკვნის მიღებიდან 3 დღის ვადაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ნიშნავს პლენუმის სხდომას.“.

2². თუ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის მიერ დასკვნის მიღებიდან 3 დღის ვადაში არ მოიწვევს პლენუმის სხდომას, პლენუმი უნდა შეიკრიბოს სხდომის მოწვევისათვის კანონით განსაზღვრული ვადის გასვლიდან მომდევნო დღეს.“.

2³. პლენუმი ეთიკისა და დისციპლინურ საკითხთა კომისიის მიერ დასკვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში განიხილავს საკითხს და ამავე ვადაში იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.“.

2⁴. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს, რომლის მიმართაც დაწყებულია დისციპლინური სამართალწარმოება, უფლება აქვს კომისიისა და პლენუმის წინაშე ზეპირად ან წერილობით წარადგინოს საკუთარი პოზიცია.“.

11. მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი უფლებამოსილია დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიას ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებული საკითხის შესწავლისა და დასკვნის წარდგენის მოთხოვნით.“.

12. მე-20 მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიმართვიდან 20 დღის ვადაში შეისწავლის საკითხს, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს დამატებითი მასალის წარდგენას და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით იღებს შესაბამის დასკვნას ამ ვადის ფარგლებში.“.

13. 21-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი უფლებამოსილია დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიას ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის მოთხოვნით.“.

14. 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიმართვიდან 20 დღის ვადაში შეისწავლის საკითხს, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს დამატებითი მასალის წარდგენას და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით იღებს შესაბამის დასკვნას ამავე ვადის ფარგლებში.“.

15. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 22¹ მუხლი:

„მუხლი 22¹

1. დისციპლინური გადაცდომის ხასიათის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიმართ მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ნაცვლად შესაძლოა გამოყენებული იყოს კერძო სარეკომენდაციო ბარათი, თუ საკონსტიტუციო სასამართლოში დისციპლინური საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა დისციპლინური გადაცდომის ბრალეული ჩადენა, მაგრამ დარღვევის მცირე მნიშვნელობის ან ბრალის უმნიშვნელო ხარისხის გამო საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი მიზანშეუწონლად არ თვლის მოსამართლისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.

2. კერძო სარეკომენდაციო ბარათი არის დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი მოსამართლისადმი წერილი, რომელშიც ამ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი უარყოფითად არის შეფასებული. კერძო სარეკომენდაციო ბარათში ასევე მოცემულია რეკომენდაცია დარღვევის აღმოფხვრის, მოსამართლის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეებისა და პრობლემების გადაჭრის გზებისა და საშუალებების შესახებ.“

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე
ზაზა თავაძე**

საქართველოს კანონი
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge), 14/11/1997, სარეგისტრაციო კოდი N 060.000.000.05.001.000.301 შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1.423-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი მისი ამოქმედების მომენტიდან ან სასამართლოს მიერ განსაზღვრული სხვა ვადიდან და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს ეფუძნება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ქუთაისი,
2018 წელი

გიორგი მარგველაშვილი